პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 121 (11125) | ოთხშაბათი, 28 მაისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

კომუნიკე მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შესახებ (1-ლი გვერდი).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციის ხელმოწერა (1-ლი გვერდი).

გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა მეცხრე ყრილობა (1-ლი გვერდი).

დეკლარაცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისა (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე (მე-3 გვერდი).

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის მეჰმეტ შეხუს გამოსვლა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე (მე-3 გვერდი).

ა. რუდევსკი. [illegible] წმიდათაწმიდა სახელმწიფოს [illegible] (მე-3 გვერდი).

სოციალისტურ ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთ დახმარებისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების გზით (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

კომუნიკე

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შესახებ

1958 წლის 24 მაისს მოსკოვში გაიმართა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირში მონაწილეობდნენ როგორც წარმომადგენლები:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმეტ შეხუ, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა, საგარეო საქმეთა მინისტრი ბეჰარ შტიფელა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი არიფ ხასკო;

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონ იუგოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი კარლო ლუკანოვი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი პეტრე პანჩევსკი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — სახელმწიფო მინისტრი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, საგარეო საქმეთა მინისტრი ენდრე შიკი, თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი გეზა რევესი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოტო გროტევოლი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვალტერ ულბრიხტი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ვილი შტოფი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბრუნო ლაიშნერი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ოტო ვინცერი;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა, საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ რაპაცკი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი მარიან სპიხალსკი;

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კიუფ სტოიკა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ემილ ბოდნარაში, საგარეო საქმეთა მინისტრი ავრამ ბუნაჩიუ, შეიარაღებული ძალების მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ლეონტინ სალეჟანი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი;

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისაგან — მთავრობის თავმჯდომარე ვილიამ შიროკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგუმილ ლომსკი.

მეთვალყურეებად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ იუნი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ლი ფუ-ჩუნი.

სხდომებს თავმჯდომარეობდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონ იუგოვი.

საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე ვარშავის ხელშეკრულების 3 მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს კონსულტაციებს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის ყველა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე, რომლებიც მათს საერთო ინტერესებს ეხება, მოხდა აზრთა გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა კმაყოფილებით აღნიშნა თათბირის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების სრული ერთსულოვნება როგორც საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში, ისე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში მათი საერთო ამოცანების შეფასებაში. პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა ერთხმად მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაცია, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მოისმინა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ს. კონევის მოხსენება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების ახალი შემცირებისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მიერ 1958 წელს თავისი შეიარაღებული ძალების 300 ათასი კაცით დამატებით შემცირებასთან ერთად, რაც უკვე გამოცხადდა, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს აღრე განხორციელებული მნიშვნელოვანი შემცირების დამატებით განახორციელონ 1958 წელს შეიარაღებული ძალების ახალი შემცირება 119 ათასი კაცის საერთო რაოდენობით, აქედან: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ — 55 ათასი კაცით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ — 23 ათასი კაცით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ — 20 ათასი კაცით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ — 20 ათასი კაცით, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკამ — 1 ათასი კაცით. ამრიგად, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები 1958 წელს თავიანთ შეიარაღებულ ძალებს შემცირებენ 419 ათასი კაცით.

პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მოიწონა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადება, შეთანხმებული რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან, უახლოეს დროში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შესახებ, რომლებიც იქ იმყოფებიან ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად.

საბჭოთა მთავრობამ, უნგრეთის მთავრობასთან შეთანხმებით, გადაწყვიტა 1958 წელს შეამციროს უნგრეთში მყოფი საბჭოთა ჯარები დამატებით ერთი დივიზიით და გაიყვანოს იგი უნგრეთის ტერიტორიიდან.

პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მოიწონა საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება.

მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილებანი ზოგიერთ საორგანიზაციო საკითხზე, რომლებიც ეხება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საქმიანობას.

პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მიმართოს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების (ნატო) წევრ სახელმწიფოებს წინადადებით, რომ დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა და ნატოს წევრ სახელმწიფოთა შორის. თავდაუსხმელობის ზემოაღნიშნული პაქტის პროექტის ტექსტი ცალკე ქვეყნდება.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მუშაობამ ცხადყო სრული ერთიანობა, ურღვევი ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებიც მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ყველა სახელმწიფოს შორის ურთიერთ ნდობისა და საქმიანი თანამშრომლობის ვითარების შექმნას, მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციის ხელმოწერა

24 მაისს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას. ეს დეკლარაცია მიღებულ იქნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე, რომელიც ამ დღეს მიმდინარეობდა.

გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა მეცხრე ყრილობა

გუშინ, 27 მაისს თბილისში გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა IX ყრილობა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი სავსეა დელეგატებით და სტუმრებით, რომლებიც რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ.

ყრილობა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დავალებით გახსნა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა.

ყრილობის პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს ვ. პ. მჟავანაძე, მ. დ. ხუბინიძე, პ. ვ. კოკანოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ი. შევჩენკო, გ. ი. ქადაგიძე, ი. ხ. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, კ. ნ. გაღიცკი, მ. ი. კუპავა, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ტ. ბლაგა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. მ. მამულაძე, ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ვ. გ. ჭაბაშვილი, ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ი. ს. ორჯონიკიძე, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი ა. ა. აგაჯანოვი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მოტორთა საამქროს გამმართველი ვ. ვ. დუგლაძე, ტყვარჩელის № 5 შახტის შახტკომის თავმჯდომარე ი. ზ. აჩბა, პროფკავშირთა აქტივისტები.

დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წინადადება ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა არჩევის შესახებ. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდხანს არ ცხრება მქუხარე ტაში.

ერთსულოვნად აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

შემდეგ დაამტკიცეს ყრილობის დღის წესრიგი:

1. ანგარიში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელი მ. მ. ლელაშვილი.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში. მომხსენებელი რ. ა. აკეტისოვი.
3. საქართველოს ეკონომიური რაიონის საწარმოებში მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შრომის ანაზღაურების სისტემის შემდგომი სრულყოფისა და საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანის მომზადების ღონისძიებათა შესახებ. მომხსენებელი ნ. გ. გომელაური.
4. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს არჩევნები.
5. სარევიზიო კომისიის არჩევნები.
6. სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

სხდომის თავმჯდომარე საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ი. პ. ხეთაგური საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს მ. მ. ლელაშვილს.

ყრილობის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის რ. ა. აკეტისოვის მოხსენება.

სიტყვა ეძლევა ააქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. ი. ქადაგიძეს. იგი აქვეყნებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საქართველოს პროფკავშირთა IX ყრილობისადმი.

შემდეგ დაიწყო კამათი საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში გამოვიდნენ აფხაზეთის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. ჯახუა, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. ჟორჟოლაძე.

28 მაისს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

დეკლარაცია

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისა

ხელმძღვანელობენ რა ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების ინტერესებით, რაც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებმა 1958 წლის 24 მაისს ქალაქ მოსკოვში მოიწვიეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი, რათა განეხილათ შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა და შეემუშავებინათ ახალი ერთობლივი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად.

აზრთა გაზიარებამ, რაშიც მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მეთვალყურემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან, დაადასტურა თათბირზე წარმოდგენილ მთავრობათა ერთსულოვნება როგორც საერთაშორისო ვითარების შეფასებაში, ისე მშვიდობის განმტკიცების გზების შესახებ.

მსოფლიოში საქმეების მდგომარეობაზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების განუწყვეტელი ბრძოლა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე, სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების გზით სადავო საკითხების გადაჭრისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

თათბირის მონაწილენი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ დღეს მშვიდობის განმტკიცების სასარგებლოდ მოქმედებენ არა მარტო სოციალისტური ქვეყნები, არამედ აგრეთვე აზიისა და აფრიკის მეტი წილი ქვეყნები, რომლებიც განთავისუფლდნენ საუკუნეობრივი კოლონიური დამოკიდებულებისაგან. მშვიდობის მხარეზე გამოდიან აგრეთვე დასავლეთ ევროპის, ამერიკისა და სხვა კონტინენტების ქვეყნები, ხალხთა მასები და გავლენიანი საზოგადოებრივი წრეები, ბევრი პარტია და პროფკავშირი, რომლებიც ყურს უგდებენ მშრომელთა მოთხოვნებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ეკლესიის მსახურნი, სხვადასხვა პოლიტიკური მსოფლმხედველობის ადამიანები. თავისი დადებითი წვლილი მშვიდობისათვის ბრძოლაში შეაქვთ აგრეთვე სახელმწიფოებს, რომლებიც ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ახორციელებენ.

საერთაშორისო მოვლენების განვითარება კვლავ და კვლავ გვაძლევს იმის დადასტურებას, რომ რვა სოციალისტური სახელმწიფოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების სამი წლის წინათ ხელმოწერილი ვარშავის ხელშეკრულება არა მარტო საიმედოდ იცავს ამ სახელმწიფოთა ხალხების უშიშროებასა და დამოუკიდებლობას, არამედ აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო დაჯგუფებათა და უწინარეს ყოვლისა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საქმიანობის — მშვიდობის საქმისათვის მტრული საქმიანობის შემაკავებელი მძლავრი ფაქტორია.

დასავლეთის სახელმწიფოთა და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების ის წრეები, რომლებმაც თავიანთი პოლიტიკა მტკიცედ დაუკავშირეს „ცივი ომის“ და საერთაშორისო დაძაბულობის განგრძობას, კვლავ ცდილობენ განახორციელონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა და ხელი შეუშალონ ხალხებს მოაწყონ თავიანთი ცხოვრება საკუთარი შეხედულებისამებრ. მათ აკისრიათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ წყდება გამალებული შეიარაღება, რომელსაც განსაკუთრებით საშიში ხასიათი ეძლევა მასობრივი მოსპობის ატომურ საშუალებათა წარმოების გაფართოებასა და დაგროვებასთან დაკავშირებით. ნატოს მონაწილე ქვეყნების ხალხებს დაკისრებული აქვთ სამხედრო ხარჯების უზომოდ მძიმე ტვირთი. მარტო ნატოს ოფიციალური მონაცემებით, ამ ბლოკის მონაწილე ქვეყნების სამხედრო ხარჯები 1957 წელს სამჯერ მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს. 1950-1957 წლებში ნატოს ქვეყნებმა მთლიანად სამხედრო მზადებისათვის დახარჯეს 400 მილიარდ დოლარზე მეტი.

ამჟამად ნატოს სამხედრო ორგანოები ადგენენ ამ ქვეყნების შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ხარჯების გადიდების ახალ გეგმებს, ამასთან ნატოს სამხედრო მინისტრების თათბირზე, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში გაიმართა, ლაპარაკი იყო ნატოს ამერიკელი მთავარსარდლის განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ძალების ერთიორად გადიდებაზე. შემდეგ ცნობილია, რომ ნატოს მუდმივმა საბჭომ მიმდინარე წლის 1 მაისს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის იმ მონაწილეთა ატომურ შეიარაღებას, რომლებსაც ამჟამად ასეთი იარაღი არა აქვთ. ნატოს მთელი რიგი ქვეყნების—ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების მთავრობებმა, მიუხედავად მოსახლეობის მტკიცე პროტესტებისა, თავიანთი ქვეყნების ტერიტორიები დაუთმეს ატომგულის მუხტებიანი რაკეტების ამერიკის სასტარტო მოედნებისა და ატომური იარაღის საწყობების შესაქმნელად.

განსაკუთრებით საშიში ხასიათი ეძლევა სამხედრო მზადებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლის ბუნდესტაგმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას აძლევს რწმუნებებს აღჭურვოს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები ატომგულისა და რაკეტული იარაღით. ამრიგად, ყველაზე საშიშ სახეობათა იარაღი ხელში უვარდებათ მილიტარისტულ და რევანშისტულ წრეებს, რომლებიც ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებენ სხვა სახელმწიფოებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, მხარს უჭერს რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღების პოლიტიკას და კისრულობს რა დასავლეთ გერმანიისათვის ატომგულისა და რაკეტული იარაღის მიწოდებას, ფაქტიურად აქეზებს ამ წრეებს განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას და დამლუპველ შედეგებს უქადის თვით გერმანელ ხალხს. ამასთან ხორციელდება ღონისძიებანი, რომ დასავლეთი გერმანია ჩაბან უახლეს სახეობათა იარაღის დამზადებასა და სრულყოფაში, რასაც ემსახურება გამომქღავნებული სამმხრივი შეთანხმება საფრანგეთსა, იტალიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის სამხედრო კვლევისა და შეიარაღების წარმოების დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ეს სამხედრო მზადება თვით დასავლეთ გერმანიაში იწვევს სერიოზულ შიშს და აწყდება დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის სულ მზარდ წინააღმდეგობას.

თანამედროვე ვითარებაში ფრიად საშიში გამწვავება შეაქვს არქტიკულ რაიონებზე საბჭოთა კავშირისაკენ ატომური და წყალბადის ბომბებით აღჭურვილი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ფრენის პრაქტიკას, რაც გაუგონარია მშვიდობიანი დროის პირობებისათვის. როგორც ცნობილია, ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული ამერიკის ბომბდამშენები ფრინავენ აგრეთვე დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის ტერიტორიაზე საჰაერო სივრცის პატრულობის საბაბით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეს მოქმედება პირდაპირ პროვოკაციას უდრის, და თუ მას ბოლო არ მოეღო, კაცობრიობას შეიძლება სულ ახლო ხანში დაატყდეს რაკეტულ-ატომური ომის ქარიშხალი.

არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნატოს მონაწილე ზოგიერთი სახელმწიფო, შეგნებული აქვს რა, თუ საით მიდის ატომური ომისათვის მზადებისა და ატომური იარაღით ჟონგლირების კურსი, რომელსაც ამ დაჯგუფების წამყვანი სახელმწიფოები ახორციელებენ, იკავებს სულ უფრო გონივრულ პოზიციას, რაც არ შეიძლება არ იყოს გარკვეული დადებითი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, განსაკუთრებით ევროპაში. ეს ერთ-ერთი მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, რომ აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებათა და იმ ვალდებულებათა არსებობის დროსაც კი, რომლებიც მათმა ინიციატორებმა თავს მოახვიეს ამ დაჯგუფებათა სხვა მონაწილეებს, არის ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობანი ევროპაში დაძაბული ვითარების შენელებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემცირების საქმეში.

მძიმე ლახვარი ჩასცეს ხალხთა იმ იმედს, რომ შემცირდებოდა ომის საფრთხე და შეიკვეცებოდა გამალებული ატომური შეიარაღება, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა, რომლებმაც წყნარ ოკეანეში მოახდინეს ახალი გამოსაცდელი ატომური აფეთქებანი უკვე მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა ყველა სახეობის წყალბადისა და ატომური იარაღის გამოცდა. ამ აფეთქებათა მოწყობა მოწმობს, თუ რა ცოტა ანგარიშს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები ხალხების ინტერესებს, ხალხებისა, რომლებიც მოითხოვენ ბოლო მოეღოს ატომური ომისათვის მზადებას და გადაიდგას რეალური ნაბიჯები მისი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

თათბირის მონაწილენი გამოთქვამენ სერიოზულ შეშფოთებას იმის გამო, რომ არ წყდება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა კოლონიური სახელმწიფოების მთავრობათა ცდები ჩაერიონ აზიისა და აფრიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში, დანერგონ იქ ხალხებისათვის უცხო რეჟიმები და შექმნან მთავრობები, რომლებიც მზად იქნებიან კვლავ ჩაუგდონ კოლონიზატორებს ხელში ქვეყნები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დაადგნენ ეროვნული დამოუკიდებლობის გზას. თუ ინდონეზიაში, ალჟირში, ლიბანში, იემენსა და ომანში იარაღი ჩხარუნობს და პატრიოტთა სისხლი იღვრება, ამაში ბრალი მიუძღვით იმავე იმპერიალისტურ წრეებს, რომელთა პოლიტიკას ახორციელებენ ნატო, ბაღდადის პაქტისა და სეატოს ორგანიზაციები და რომლებიც ზეგავლენისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის გზით ცდილობენ ხელთ იგდონ ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრენი, ჩაახშონ აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მსგავსად იმისა, როგორც გასული წლის ზაფხულში საფრთხე ემუქრებოდა სირიას, ისე ახლა სხვაში ხრიკები ხორციელდება ლიბანის წინააღმდეგ, ამასთან ამჯერად ამერიკის შეერთებული შტატები, იმოწმებენ რა ყბადაღებულ დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინას, რომელიც უარყვეს არაბმა ხალხებმა, ემზადებიან აამოქმედონ თავიანთი შეიარაღებული ძალები იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც სურს მხოლოდ ერთი რამ — ბატონპატრონი იყოს საკუთარ სახლში და თავისუფალი იყოს უცხოეთის დიქტატისაგან.

უადგილო არ იქნება დავაყენოთ საკითხი, ვინ მისცა უფლება რომელიმე სახელმწიფოს თავს მოახვიოს სხვა ქვეყნებს სხვადასხვაგვარი დოქტრინები. ხომ დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ძალასა და თვითნებობას შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ სამართლისათვის და სამართლადაც კი გავსაღებინათ თავი. დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა აშკარად ისახავს მიზნად ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა საქმეებში, და მისი ავტორები არ მოერიდნენ აშკარად განეცხადებინათ ეს. და ყველაფერი ეს ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვალწინ, რომელიც თითქოს უნდა ეხმაურებოდეს იმ მოქმედებას, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს, რამდენადაც ეს საერთაშორისო სამართლის დარღვევაა და ამას გმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს პოზიციის გამო პარალიზებული რჩება და არავითარ ღონისძიებას არ იღებს, რათა დაიცვას ლიბანის, ისევე როგორც იმ სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა, რომლებიც იმპერიალისტური წრეების ხრიკების ობიექტს წარმოადგენენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს გახდეს ნამდვილად საერთაშორისო ორგანიზაცია და ეფექტიანი ინსტრუმენტი მშვიდობისათვის ბრძოლაში, თუ მისი წევრი ყველა სახელმწიფო იხელმძღვანელებს არა თავისი ვიწრო ინტერესებით, არამედ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებით.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები მოქმედებდნენ და კვლავაც იმოქმედებენ იმ მიმართულებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ წარმატებით შეასრულოს წესდებით დაკისრებული თავისი ამოცანები.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

დეკლარაცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისა

(გაგრძელება)

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები დარწმუნებული არიან, რომ ის ფაქტი, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მოკლებულია შესაძლებლობას დაიკავოს თავისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სერიოზულ ზიანს აყენებს მის საქმიანობას. ასევე ისინი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ სახალხო ჩინეთის მონაწილეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში უდიდესი დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა როგორც შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დაცვისათვის, ისევე მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის.

მთელი რიგი წლების განმავლობაში საფრანგეთი სისხლისმღვრელ ომს აწარმოებს თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ. ომი ალჟირში არა მარტო საშინელი უსამართლობაა თავისუფლებისმოყვარე ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე ქმნის საერთაშორისო უთანხმოებისა და კონფლიქტების საშიშ კერას მსოფლიოს ამ რაიონში.

ნატოს ორგანიზატორები და მათი მომხრე დასავლეთის სახელმწიფოთა ბლოკები ცდილობენ სამხედრო მზადება და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა, რასაც ისინი სულ უფრო დიდი მასშტაბით ახორციელებენ, მიჩქმალონ „საერთაშორისო კომუნიზმის“ საფრთხის ყალბი დამოწმებით. ეხება საქმე ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვას თუ ლიბანის საქმეებში შეიარაღებული ჩარევის მზადებას, ამერიკის რაკეტული დანადგარების განლაგებას უცხო ქვეყნებში თუ საბიუჯეტო ასიგნობათა გადიდებას სამხედრო მიზნებისათვის, ამერიკის ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული თვითმფრინავების გაგზავნას საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ თუ საერთაშორისო დაჭრობის შეზღუდვას — ყველა შემთხვევაში მიმართავენ ამ არც თუ ახალ ხერხს.

ვის არ ახსოვს, რომ მეორე მსოფლიო ომის მომზადება ჰიტლერული გერმანიის მიერ აგრეთვე მიმდინარეობდა კომუნიზმის „საფრთხის“ წინააღმდეგ ბრძოლის ალმით. მილიონობით და მილიონობით ადამიანმა, რომლებიც შეცდომაში შეიყვანა ამ ცრუ პროპაგანდამ, სიცოცხლე შესწირა წარსულ ომში. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ხალხებმა არ გააკეთონ დასკვნები ამ ტრაგიკული გაკვეთილებიდან და საკუთარი გამოცდილებით არ ისწავლონ ომის გამოცნობა, თუ სინამდვილეში საიდან მოდის ომის საფრთხე.

ვარშავის ხელშეკრულებაში გაერთიანებულ სახელმწიფოებს, ისევე როგორც აზიის სოციალისტურ სახელმწიფოებს, არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ მამოძრავებელი მიზეზები იმისათვის, რომ თავს დაესხან სხვა ქვეყნებს, ხელთ იგდონ სხვისი მიწები. საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, მთლიანად სოციალისტურ ბანაკს მიწის თვალუწვდენი სივრცეები და აუთვალავი ბუნებრივი რესურსები აქვთ. ხოლო სოციალისტური ქვეყნების მთავარი სიმდიდრეა ადამიანები, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული და საზოგადოებრივი პროგრესის გზით მიმავალი ხალხების დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალები. ყველა ამ ქვეყანაში გამორიცხულია ის, რომ გამოჩნდეს მოსახლეობის რაიმე ჯგუფი ან ფენა, რომლებიც დაინტერესებული იყონ ომით, რადგან აქ ხელისუფლების სათავეში დგანან მუშები და გლეხები, რომლებიც ყველა ომში ყველაზე მეტ მსხვერპლს იღებენ. ისინი თავიანთი ხელით ქმნიან ყველა საჭირო მატერიალურ ფასეულობას და არა სხვავიათ, რომ სხვის ქონებაზე ეჭიროთ თვალი.

ჩვენი ქვეყნების ხალხები მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილ იქნება საყოველთაო კეთილდღეობა და ყველაზე სრულად და ყოველმხრივ განვითარდება ადამიანის სულიერი ძალები. ამისათვის მათ უწინარეს ყოვლისა ესაჭიროებათ ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა. აი ამიტომ არაფერი იაე არ არის დაშორებული ჭეშმარიტებას, როგორც მტკიცება, თითქოს სოციალისტურ ქვეყნებს შეუძლიათ ვინმეს დაემუქრონ ან სურთ ძალით მოახვიონ თავს თავიანთი ცხოვრების წესი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს არ აშინებთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მათ აკავშირებს არა „ცივი ომის“ ატმოსფერო, არა საომარი ციებცხელების მდგომარეობა, რომელშიც სურთ ჰყავდეთ მსოფლიო სამხედრო მზადების მომხრეებს, არამედ ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების იდეალებისა და მიზნების ერთობა. საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისა ეშინია იმას, ვისაც არა სურს დაეკარგოს ზღაპრული მოგება, რასაც იღებს გადასახადის გადამხდელთაგან გამალებული შეიარაღების მეოხებით, და იცავს სამხედრო დაჯგუფებათა შენარჩუნებას, რომელთა არსებობა სრულიად გაუმართლებელი და ზედმეტი გახდებოდა დაძაბულობის შენელების, სახელმწიფოთა შორის ნდობის ზრდისა და „ცივი ომის“ შეწყვეტის პირობებში.

ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვარშავის ხელშეკრულებას, გადაჭრით გმობენ საერთაშორისო ვითარების გამწვავებისა და ატომური ომისათვის მზადების იმ კურსს, რასაც ნატოში ახორციელებენ ამ აგრესიული დაჯგუფების წამყვანი სახელმწიფოები. ვარშავის ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნები მოუწოდებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ქვეყნების მთავრობებს არ გადადგან ახლანდელ პასუხსაგებ მომენტში რაიმე ნაბიჯი, რომელსაც შეუძლია გააუარესოს უიმისოდაც დაძაბული მდგომარეობა ევროპასა და მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ნაწილში. იმისათვის, რომ ომის საფრთხე კი არ გაძლიერდეს, არამედ შენელდეს, რომ ერთმანეთისადმი სახელმწიფოთა უნდობლობამ და დაეჭვებამ ადგილი დაუთმოს ნდობასა და საქმიან თანამშრომლობას, უწინარეს ყოვლისა საჭიროა თავი შეიკავონ ისეთი მოქმედებისაგან, როგორიც არის ამერიკის სამხედრო ავიაციის უგუნური მოქმედება ანდა გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების შესახებ, რომელიც გამომწვევი მოქმედებაა ევროპის ყველა ხალხის მიმართ.

ევროპისა და აზიის სოციალისტურმა ქვეყნებმა არაერთხელ დაამტკიცეს თავიანთი კეთილი ნება და მისწრაფება ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოებთან ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. ვარშავის ხელშეკრულების ყველა მონაწილემ არაერთხელ შეამცირა ცალმხრივი წესით თავისი შეიარაღებული ძალები, რომელთა რიცხვი 1955 წლიდან მოკიდებული შემცირდა 2 მილიონ 477 ათასი კაცით. შესაბამისად შემცირდა აგრეთვე ამ ქვეყნების შეიარაღება, სამხედრო-ტექნიკური საშუალებანი და თავდაცვის ხარჯები. აღნიშნულ პერიოდში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები შემცირდა 2 მილიონ 140 ათასი კაცით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — 141,5 ათასი კაცით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — 44 ათასი კაცით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — 30 ათასი კაცით, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — 60 ათასი კაცით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — 18 ათასი კაცით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — 35 ათასი კაცით, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — 9 ათასი კაცით.

ვერავინ ვერ უარყოფს, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ამცირებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ესოდენ დიდი ოდენობით, იმზადებიან არა ომისათვის, არამედ მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის. და, პირიქით, როცა სახელმწიფოები ზრდიან შეიარაღებას, ადიდებენ შეიარაღებულ ძალებს, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ეს სახელმწიფოები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისინი, ვინც განსაზღვრავს მათს პოლიტიკას, ფიქრობენ არა მშვიდობაზე, არამედ ომზე.

ამრიგად გამოდის, რომ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოების მიერ თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ხარჯების შემცირებას ნატოს ქვეყნები უპასუხებენ ჯარების გადიდებით, სამხედრო ბიუჯეტების ზრდით, შეიარაღების გადიდებით. ახორციელებენ რა ასეთ პოლიტიკას, ნატოს ხელმძღვანელებს უნდათ ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიღწევას, რომელიც უზრუნველყოფს მათს მშვიდობიან თანაარსებობას, და ამით იძულებულს ხდიან ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს მონაწილეობა მიიღონ გამალებულ შეიარაღებაში, „ცივ ომში“, რათა შეაფერხონ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მშვიდობიანი მშენებლობა და მათი ცხოვრების დონის ამაღლება. ყოველივე ეს ვალდებულს ხდის ხალხებს ფხიზლად იყონ და გააძლიერონ თავიანთი აქტივობა იმ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ომისათვის მზადების მიმართულებით მოქმედებენ.

თათბირის მონაწილენი ამაყობენ იმით, რომ სხმი სახელმწიფოდან, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ, სწორედ სახელმწიფომ, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას ეკუთვნის, — საბჭოთა კავშირმა მოახდინა უდიდესი ჰუმანიზმის აქტი, მიიღო რა გადაწყვეტილება ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. ისტორიული მნიშვნელობის ეს კეთილშობილური ღონისძიება სახავს იმ გზას, რომ კაცობრიობამ საბოლოოდ დააღწიოს თავი გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხეს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო და სწრაფი ტემპით ახორციელებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ გაიყვანოს ჩინელი მოხალისეები კორეიდან. ამერიკის შეერთებული შტატები მცირე წვლილს როდი შეიტანდნენ შორეული აღმოსავლეთის მშვიდობის განმტკიცებაში და კორეის საკითხის მოწესრიგებაში, თუ მიბაძავდნენ სახალხო ჩინეთის მაგალითს და გაიყვანდნენ თავიანთ ჯარებს სამხრეთ კორეიდან, აგრეთვე მოახდენდნენ ყველა თავიანთი ბაზის ლიკვიდაციას მის ტერიტორიაზე.

ფართო საერთაშორისო აღიარება ჰპოვა ევროპაში ატომური ომის წარმოშობის საფრთხის აღკვეთის ძვირფასმა ინიციატივამ, რაც გამოიჩინა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც წამოაყენა წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას ცენტრალურ ევროპაში ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღის წარმოების, განლაგებისა და გამოყენებისაგან თავისუფალი ზონა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებამ გერმანიის კონფედერაციის შექმნის შესახებ რეალური გზა დასახა იმ არანორმალური მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის, როცა გერმანია, ომის დამთავრების 13 წლის შემდეგ, ჯერ კიდევ გათიშულია ორ ნაწილად. თათბირის მონაწილე ქვეყნების მთავრობები ჯეროვნად აფასებენ ამ წინადადებას და აცხადებენ, რომ სავსებით მხარს უჭერენ მას.

იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს მომწიფებული საერთაშორისო საკითხები და დაკმაყოფილდეს ხალხთა საყოველთაო მოთხოვნები იმის შესახებ, რომ მიღებულ იქნას ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის, საბჭოთა კავშირმა, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან კონსულტაციით, წამოაყენა წინადადება, რომ მოწვეულ იქნას აღმოსავლეთის და დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების თათბირი უმაღლეს დონეზე. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მთავრობებს უმაღლეს დონეზე თათბირი შექმნილ პირობებში მიაჩნიათ უმნიშვნელოვანეს საშუალებად იმისათვის, რომ ამან დაიხსნას კაცობრიობა სამხედრო კატასტროფისაგან და მოაბრუნოს მოვლენათა განვითარება საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

თათბირის მონაწილენი კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ უმაღლეს დონეზე თათბირის დღის წესრიგი, რომელიც საბჭოთა მხარემ წარმოადგინა, შეიცავს საკითხებს, რომელთა გადასაჭრელადაც არსებობს რეალური წანამძღვრები, რომელთა მოწესრიგება ხელს შეუწყობდა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ევროპაში უშიშროების განმტკიცებას და ურთიერთ უნდობლობას აღმოფხვრას, სახელდობრ იმ საკითხებს, რომ:

დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა;

სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა უარი თქვან ატომგულის იარაღის გამოყენებაზე;

ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონა;

ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შემავალ სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის დაიდოს თავდაუსხმელობის შეთანხმება;

შემცირდეს გერმანიის ტერიტორიაზე და ევროპის სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი უცხოეთის ჯარების რიცხვი;

შემუშავდეს შეთანხმება უიცარი თავდასხმის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

განხორციელდეს ღონისძიებანი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გასაფართოებლად;

შეწყდეს ომის პროპაგანდა;

დაისახოს ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში დაძაბულობის შენელების გზები;

აიკრძალოს კოსმოსის სივრცის გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის, ლიკვიდირებულ იქნას უცხოეთის სამხედრო ბაზები სხვათა ტერიტორიებზე და განხორციელდეს საერთაშორისო თანამშრომლობა კოსმოსის სივრცის შესწავლის დარგში;

დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება;

განვითარდეს ურთიერთობა და კონტაქტები ქვეყნებს შორის.

ამ საკითხებში პირველი ადგილი უჭირავს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტას. მთავრობებს, რომლებსაც აკისრით პასუხისმგებლობა თავიანთი ხალხების წინაშე ამ ხალხების კეთილისათვის, უფლება არა აქვთ უგულებელყონ მსოფლიოს სულ სხვადასხვა ქვეყნის მრავალ ათასობით მეცნიერის გაფრთხილება იმის შესახებ, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა და რა საშინელია ატომური ომის შედეგები. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ მეცნიერთა გაფრთხილებას, რომელნიც აღნიშნავენ, რომ თუ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა ასეთივეა გაგრძელდა, როგორც ეს დღემდე ხდებოდა, თვითეული თაობაში მილიონობით ადამიანი დასნეულდება მემკვიდრეობითი დაავადებით.

ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა შეესაბამება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა მისწრაფებასა და იმედს, რომელებსაც აწუხებთ ამ გამოცდის საშინელი შედეგები. შეთანხმება ამ საკითხზე შეაჩერებს ახალ სულ უფრო მომაკვდინებელ სახეობათა ატომგულის იარაღის შექმნას და დიდი ნაბიჯი იქნება გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტის გზაზე.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა უარს — მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს და იმას, რომ ისინი განაგრძობენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას, შეუძლია მხოლოდ საწყის პოზიციებზე დაბრუნოს კაცობრიობა მისი ბედისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში, რისთვისაც მძიმე პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრებათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს.

თათბირის მონაწილენი აცხადებენ, რომ იმ ქვეყნების ხალხები, რომელთა წარმომადგენელნიც ისინი არიან და რომელთაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველა საშუალება გამოიყენონ მშვიდობის განმტკიცებისა და ახალი მსოფლიო ომის ხანძრის თავიდან აცილების ინტერესებისათვის, დაინტერესებული არიან იმით, რომ ევროპის კონტინენტის ცენტრში შეიქმნას ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონა, რომელშიც შევა ორივე გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, აგრეთვე პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია.

მხარს უჭერენ რა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებას ატომგულისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ, თათბირის მონაწილენი არ ეძებენ თავისთვის რაიმე სამხედრო უპირატესობას.

თუ შევადარებთ იმ სახელმწიფოთა ტერიტორიების ოდენობას, რომლებიც უატომო ზონაში შევლენ, აღმოჩნდება, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ტერიტორია ერთიორად და უფრო აღემატება ამ ზონის მეოთხე მონაწილის — დასავლეთ გერმანიის ტერიტორიას. შემდეგ, იმ სახელმწიფოთა მოსახლეობის რიცხვი, რომლებიც ამ ზონაში შედიან ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მხრიდან, აგრეთვე აღემატება იმ სახელმწიფოს მოსახლეობის რიცხვს, რომელიც ამ ზონაში შედის ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მხრიდან.

რაც შეეხება ატომგულის იარაღის საკუთარ წარმოებას, როგორც ცნობილია, არც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, არც ჩეხოსლოვაკია, არც პოლონეთი და არც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ამ იარაღს არ აწარმოებენ. ამასთანავე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ თავის დროზე იკისრა საერთაშორისო ვალდებულება არ აწარმოოს ასეთი იარაღი მომავალში. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ არ არსებობს რაიმე საფუძველი ვიფიქროთ, რომ უატომო ზონის შექმნა, რაღაც ცალმხრივ სამხედრო მოგებას მისცემს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს ნატოს სახელმწიფოთა ინტერესების საზიანოდ. პირიქით, ევროპაში უატომო ზონის შესახებ წინადადების რეალიზმი სწორედ ის არის, რომ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები და ნატოს წევრი სახელმწიფოები, ამ წინადადების შესაბამისად, უნდა დათანხმდნენ განახორციელონ ისეთი ორმხრივი ღონისძიებანი ატომური განიარაღების დარგში, რომლებსაც მთლიანად თანაბრად დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვთ.

თათბირის მონაწილენი მიესალმებიან იმას, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც ატომგულის იარაღის მქონე ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო, მზად არის იკისროს ვალდებულება პატივი სცეს უატომო ზონის სტატუსს და ზონაში შემავალ სახელმწიფოთა ტერიტორია მიიჩნიოს ატომური, წყალბადის და რაკეტული იარაღის გამოყენების სფეროდან გამორიცხულ ტერიტორიად.

სამწუხაროა, რომ არაევროპული სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ არა მარტო სასწრაფოდ განაცხადა, რომ უარყოფითად ეკიდება ევროპის ცენტრში უატომო ზონის შექმნის წინადადებას, არამედ შესაძლოდაც მიიჩნია ზეგავლენა მოეხდინა ნატოში თავის ევროპელ მოკავშირეებზე იმ ვარაუდით, რომ გაერთულებინა უმაღლეს დონეზე თათბირის განსახილველად ამ წინადადების შეტანა და მისი შემდგომი განხილვა. ეს ინიციატივა კი მიზნად ისახავს შენელდეს დაძაბულობა ცენტრალურ ევროპაში და შემცირდეს ამ რაიონში ატომური ომის წარმოშობის შესაძლებლობა. ამ ინიციატივის რეალიზაცია, როგორც საკითხის ნაწილობრივი გადაწყვეტისადმი მისწრაფება, გააადვილებდა განიარაღების დარგში უფრო ფართო შეთანხმებათა გზას და ამით ხელს შეუწყობდა ყველა ხალხის მთავარი მიზნის მიღწევას — ევროპაში ატომური ომის საფრთხის, ხოლო ამით საერთო ომის საფრთხის აღმოფხვრას. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ასე გაიგეს მისი აზრი დასავლეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა და სხვადასხვა პოლიტიკურმა წრეებმა.

ნატოს ზოგიერთი სახელმწიფოს მმართველი წრეები, სიტყვით აცხადებენ რა, რომ სურთ მოაწყონ წარმატებითი მოლაპარაკება, საქმით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაართულონ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევა, თუ ის არა სურთ, რომ თავი აარიდონ საერთოდ ასეთი თათბირის მოწყობას. ამისათვის აყენებენ შეთხზულ საკითხს ეგრეთწოდებული მდგომარეობის შესახებ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ესე იგი საკითხს, რომელიც ნამდვილად არ არსებობს. თათბირის მონაწილენი გადაჭრით უარყოფენ ამ საკითხის რაიმე განხილვას როგორც იმ შეუწყნარებელ ჩარევას სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რომელიც შეუთავსებელია საერთაშორისო სამართალთან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან. თათბირის მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ისინი არ დაუშვებენ თავიანთი ქვეყნების საშინაო საქმეებში რაიმე ჩარევას, ქვეყნებისა, რომელთა ხალხებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი ხალხების შრომა, თავიანთი უშიშროება გარედან ყოველგვარი ხრიკისაგან.

რაც შეეხება ცდებს უმაღლეს დონეზე თათბირის განსახილველად წამოაყენონ გერმანიის გაერთიანების საკითხი, ასეთი ცდები მხოლოდ იმათი სასარგებლოა, ვისაც არა სურს დაუშვას უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევა და არა სურს მისი წარმატებით დამთავრება.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს სავსებით შეგნებული აქვთ გერმანელი ხალხის მისწრაფება, რომ ლიკვიდირებულ იქნას გერმანიის გათიშვა, და იმის მომხრენი არიან, რომ აღდგენილ იქნას გერმანიის ერთიანობა და შეიქმნას მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფო. მაგრამ მათ მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი შეიძლება გადაჭრას მხოლოდ თვითონ გერმანელმა ხალხმა ამჟამად არსებული ორი გერმანული სახელმწიფოს სახით და მხოლოდ მათ შორის შეთანხმების გზით. გერმანიის საკითხის გადაჭრის სხვა გზა არ არსებობს. სხვა სახელმწიფოები, რა უფლებათა პრეტენზიასაც უნდა აცხადებდნენ ისინი, კომპეტენტური არ არიან გადაწყვიტონ ეს საკითხი გერმანელი ხალხის გვერდის ავლით და გერმანელი ხალხის წარმომადგენელი მთავრობების — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობების გვერდის ავლით.

თათბირის მონაწილენი სავსებით იზიარებენ საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისს, რომ უმაღლეს დონეზე თათბირმა განიხილოს გერმანიის პრობლემის ის ნაწილი, რომლის გადაჭრისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ოთხ სახელმწიფოს, სახელდობრ — გერმანიის ხალხის ხელშეკრულების საკითხი. ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობა საზავო ხელშეკრულების მომზადებაში, როგორც ამას საბჭოთა კავშირი მოითხოვს, საშუალებას მისცემს გერმანელ ხალხს იქონიოს მომავალში გერმანიის განვითარების ნათელი პერსპექტივა და ხელს შეუწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღონისძიებათა გაერთიანებას გერმანელი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის საქმეში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ უმაღლეს დონეზე თათბირში იმ ნეიტრალურ სახელმწიფოთა მონაწილეობას, რომელნიც არ არიან დაკავშირებული სამხედრო ვალდებულებით ერთმანეთისათვის დაპირისპირებულ არც ერთ სამხედრო დაჯგუფებასთან და რომლებმაც დაამტკიცეს, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმის მომხრენი არიან. თათბირის მონაწილეებს არ შეუძლიათ არ გამოთქვან თავიანთი მწუხარება, რომ სსრ კავშირის წინადადებას უმაღლეს დონეზე თათბირში ნეიტრალური სახელმწიფოთა მონაწილეობის შესახებ მხარს არ უჭერენ დასავლეთის სახელმწიფოები.

იმის გამო, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ მოეწყოს თათბირი ფართო შემადგენლობით, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მთავრობებს საჭირო შეთანხმების მიღწევის ინტერესებისათვის შესაძლოდ მიაჩნიათ არ მოითხოვონ, რომ თათბირში მონაწილეობა მიიღონ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წევრი ყველა სახელმწიფოს და ვარშავის ხელშეკრულების ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, და თანახმა არიან ამ ეტაპზე მოხდეს მონაწილეთა უფრო ვიწრო წრის შეხვედრა იმ ვარაუდით, რომ მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღოს ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისა და ვარშავის ხელშეკრულების სამ-სამმა (ოთხ-ოთხმა) ქვეყანამ. ამ მიზნით ისინი ვარშავის ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნების სახელით ავალებენ უმაღლეს დონეზე თათბირში მონაწილეობის მიღებას საბჭოთა კავშირს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას (რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას).

ამ თათბირის მონაწილენი მივიდნენ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ შექმნილი ვითარება ყველა სახელმწიფოსაგან მოითხოვს განახორციელონ ახალი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად და თანამედროვეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვან გადაუჭრელ საკითხთა მოსაწესრიგებლად. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვარშავის ხელშეკრულებას, თანმიმდევრულად ცდილობდნენ მიეღწიათ შეთანხმებისათვის დასავლეთის სახელმწიფოებთან განიარაღების პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ მიზნით მათ არა მარტო შეჰქონდათ კონკრეტული წინადადებანი, არამედ იმზეც კი დათანხმდნენ, რომ ცალმხრივი წესით განეხორციელებინათ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ამ დარგში. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილე სხვა ქვეყნების მთავრობები არ გამოეხმაურნენ არც ერთ ამ წინადადებას და კვლავ ახორციელებენ „ცივი ომისა“ და შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების საშიში ზრდის პოლიტიკას.

ისარგებლეს რა იმით, რომ უმრავლესობა ჰყავდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიასა და მის ქვეკომიტეტში, დასავლეთის სახელმწიფოებმა თავი აარიდეს საქმიან პატიოსან მოლაპარაკებას და 1957 წლის 29 აგვისტოს ისეთი წინადადებანი წამოაყენეს, რომლებიც ნამდვილად არა მარტო არ ითვალისწინებდნენ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას და სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებას, არამედ ფართოდ უღებდნენ კარს შემდგომ გამალებულ შეიარაღებას.

თავს მოახვიეს რა გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიას ეს წინადადებანი და განახორციელეს რა ღონისძიებანი, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში წინანდებურადვე დარჩენილიყო მათ მიერ მოწყობილი სამხედრო ბლოკების მონაწილეთა ძალადობა, დასავლეთის სახელმწიფოებმა ისეთი ვითარება შექმნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში, რომლის დროსაც არ შეიძლება ვიმსჯელოთ იმედი, რომ განიარაღების საკითხები ამ ორგანოში დადებითად გადაიჭრას. ამ პირობებში განიარაღების გადაუდებელი საკითხების გადასაჭრელად, რომელთა შესახებაც უკვე ამ ეტაპზე არის შესაძლებლობა მიღწეულ იქნას ურთიერთმისაღები შეთანხმებანი, საკითხისა პერსპექტივას ქმნის უმაღლეს დონეზე თათბირი მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.

სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვარშავის ხელშეკრულებას, თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ განახორციელონ მაქსიმუმი ღონისძიებანი, რათა დასავლეთის სახელმწიფოები ნამდვილად დააყენონ განიარაღების გზაზე და ამით თავიდან აიცილონ სამხედრო შეტაკება ევროპის კონტინენტზე, თავიდან აიცილონ ახალი ომის ტრაგედია. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლები იმისათვის შეიკრიბნენ, რომ არა სიტყვით, არამედ ახალი კონკრეტული საქმეებითა და წინადადებებით განამტკიცონ თავიანთი გულწრფელი მისწრაფება ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისადმი. სურთ რა მკვდარი წერტილიდან დაძრან განიარაღების პრობლემა და შექმნან გარდატეხა სახელმწიფოთა შორის ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განსამტკიცებლად, თათბირზე წარმოდგენილმა მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით განახორციელონ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირება 419 ათასი კაცით. შესაბამისად შემცირდება აგრეთვე შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და სამხედრო ხარჯები.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საბჭოთა მთავრობის წინადადება, შეთანხმებული რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან, იმის შესახებ, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაიყვანონ იქნან საბჭოთა ჯარები, რომლებიც იქ ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად იმყოფებიან. თათბირის მონაწილენი იწონებენ ამ წინადადებას და რწმენას გამოთქვამენ, რომ ამ წინადადებას ყველა ხალხი მიიღებს სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრული მშვიდობიანი პოლიტიკის ახალ დადასტურებად.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები იმედს გამოთქვამენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის სხვა ქვეყნები თავის მხრივ განახორციელებენ ღონისძიებებს თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესამცირ

დეკლარაცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისა

(დასასრული)

მარტო ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, არამედ შესაძლებელსაც გახდიდა, რომ ევროპის ხალხები გადაურჩნენ გაბერილ სამხედრო ბიუჯეტებს, რომლებიც წლითიწლობით სახელმწიფოთა მატერიალური რესურსების სულ უფრო მეტ წილს ნთქამენ, და გზას გაუხსნიდა ხალხების ეკონომიურ და სულიერ აყვავებას.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ყველა სამხედრო ბლოკისა და დაჯგუფების ლიკვიდაციის მომხრენი არიან, რამდენადაც მათი არსებობა იწვევს სახელმწიფოთა ურთიერთობის გამწვავებას და მათ შორის საომარი შეტაკების მუდმივ საფრთხეს ქმნის. მაგრამ, მხედველობაში იღებენ რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არ არიან მზად დაშალონ მათ მიერ შექმნილი სამხედრო დაჯგუფებანი და ამ დაჯგუფებათა ნაცვლად შექმნან კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემა ევროპაში, ისევე როგორც მსოფლიოს მთელ რიგ სხვა რაიონებში, თათბირის მონაწილეებს საჭიროდ მიაჩნიათ მიიღონ გამაფრთხილებელი ღონისძიებანი წარმოშობილ ფოთანხმოებათა შესანელებლად და იმისათვის, რომ დაშვებულ არ იქნას ორ ძირითად დაჯგუფებას შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადაზრდა საომარ კონფლიქტად. ამ მიზნით ისინი წინადადებას აყენებენ, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ქვეყნებს შორის დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი, რომელსაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა შემდეგი ურთიერთ ვალდებულებანი:

1. არ მიმართონ ერთიმეორის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ან ძალით დამუქრებას;

2. თავი შეიკავონ ყოველგვარი ჩარევისაგან ერთიმეორის საშინაო საქმეებში;

3. ყველა სადავო საკითხი, რომელიც კი შეიძლება წარმოიშვას მათ შორის, გადაჭრან მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, გაეგებისა და სამართლიანობის სულისკვეთებით, დაინტერესებულ მხარეთა მოლაპარაკების გზით;

4. მოაწყონ ურთიერთ კონსულტაციები ისეთი სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში, რომლებსაც შეიძლებოდათ საფრთხე შეექმნათ ევროპის მშვიდობისათვის.

თათბირზე შემუშავებულ იქნა პროექტი თავდაუსხმელობის პაქტისა ნატოს წევრ სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის და გადაწყდა ეს პროექტი გადაეცეს ნატოში შემავალი ქვეყნების მთავრობებს.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ნატოს ქვეყნებს მოწოდებით მიიღონ მათი წინადადება თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ თუ ნატოს სახელმწიფოები, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლად მიიჩნევენ დადონ თავდაუსხმელობის პაქტი ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებთან, ამით დაიწყებოდა საერთაშორისო ვითარების განვითარებაში სასურველი მობრუნება იმ მხრივ, რომ ნდობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა დამყარდეს სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ახლა ერთიმეორეს უპირდაპირდებიან როგორც სამხედრო დაჯგუფებათა მონაწილენი. ყველასათვის ხომ ცხადია, რომ ახალი ომი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ორი დაჯგუფების ურთიერთ კონფლიქტის შედეგი. მეორე მხრივ, არანაკლებ ცხადია ისიც, რომ თუ მექანიზმი ამ ორი დაჯგუფებისა, რომლებშიც სამხედრო-სამრეწველო თვალსაზრისით მსოფლიოს ყველაზე განვითარებული 23 სახელმწიფო შედის, არ ამოძრავდება ერთიმეორის წინააღმდეგ თავდასხმისათვის, არ იქნება, მაშასადამე, არც ასეთი ომი.

გარდა ამისა, ვალდებულება თავდაუსხმელობის შესახებ ქმედითი შემაკავებელი საშუალებაა და ამ ვალდებულების დარღვევა, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, აგრესორს აყენებს საერთაშორისო იზოლაციის მდგომარეობაში, აადვილებს იმ ძალების შეკავშირებას, რომლებიც აგრესიის წინააღმდეგ იბრძვიან, ხოლო ამით აადვილებს აგრესორის განადგურებას.

თათბირის მონაწილენი აღნიშნავენ როგორც დადებით ფაქტს იმ გარემოებას, რომ თავდაუსხმელობის პაქტის იდეას დადებითად მოეკიდა ინგლისის მთავრობა, რაც ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მაკმილანმა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მზად არიან ყოველ დროს გამოჰყონ თავიანთი წარმომადგენლები, რათა აზრი გაუზიარონ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს იმ საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობენ წინადადებიდან თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. აზრთა ასეთი გაზიარება შეიძლებოდა მოწყობილიყო დაუყოვნებლივ, უმაღლესი დონის თათბირამდე, რაც გააადვილებდა იმას, რომ აღნიშნულმა თათბირმა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება პაქტის დადების შესახებ.

საერთაშორისო ვითარება ისეთია, რომ ვდგამთ რა ახალ ნაბიჯებს „ცივი ომის“ მდგომარეობის ლიკვიდაციის, შეიარაღებული ძალების შემცირებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების შექმნის გზაზე, ყველა ჩვენგანმა უნდა გამოიჩინოს გონიერება და პასუხისმგებლობა ჩვენი სოციალისტური ქვეყნების უშიშროებისათვის. არ შეიძლება შევურიგდეთ, რომ სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა შეანელონ სიფხიზლის გრძნობა, ვინაიდან ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა მშვიდობისმოყვარული ღონისძიებანი ჯერ კიდევ ვერ პოულობენ გამოხმაურებას ნატოს ქვეყნების მთავრობათა მხრივ, რომლებიც ცდილობენ განაგრძონ საერთაშორისო ვითარების გამწვავება და გამალებული შეიარაღება. საჭიროა კვლავაც ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა არ შეიქმნას პირობები, როცა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრეებს შეეძლებათ მიმართონ ძალის გამოყენებას სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ, განუხრელად ეცდებიან რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფონი ოდნავაც არ შეამცირებენ ზრუნვას თავიანთი ხალხების უშიშროებისათვის. დაე ქვეყნების მთავრობებმა, რომლებიც „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას ეყრდნობიან და „ომის ზღვარზე“ ბალანსირებას ცდილობენ, მუდამ იცოდნენ, რომ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ომს შეუძლია გამოიწვიოს აგრესორის მხოლოდ დაღუპვა.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები ცდილობენ, რომ ყოველ ღონეს ინმარენ, რათა შეუნელებლად დაიცვან მშვიდობის საქმე და იბრძოლონ ახალი ომის თავიდან აცილებისათვის. მათ მიაჩნიათ, **რომ ამჟამად სახელმწიფოთა მთავრობებს** არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ უფრო გადაუდებელი და უფრო **კეთილშობილური** ამოცანა, ვიდრე ის ამოცანა, **რომ დამყარდეს** მტკიცე მშვიდობა და ხალხები განთავისუფლდნენ გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან. **მათ აგრეთვე** მიაჩნიათ, რომ მთავრობებმა საერთაშორისო საქმეებში უნდა იხელმძღვანელონ არა იმით, რაც თიშავს ქვეყნებს, არამედ იმით, რაც მათ აახლოებს, იმ მიზნით, რომ ერთობლივი ღონისძიებებით უზრუნველყონ მშვიდობა ევროპაში და, მაშასადამე, მთელ მსოფლიოში.

ომებმა ევროპას არაერთხელ მოუტანეს უბედურება და ნგრევა. ამას მოწმობს აორებული ქალაქებისა და სოფლების ის მრავალი ნანგრევი ევროპის ქვეყნებში, რაც დღემდეც შეიძლება ვნახოთ. ამას გვახსენებს ბევრი მილიონი დასახიჩრებული ადამიანი, მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი ათეულ მილიონობით მამაკაცი, ქალი და ბავშვი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის ცეცხლში დაიწვნენ. ყველა საჰელმწიფოს მთავრობათა მოვალეობაა არ დაუშვან ახალი აფეთქება, იხსნან ევროპა და კაცობრიობა ახალი, განუზომლად უფრო მძიმე ტრაგედიისაგან. ევროპა, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლები და ბევრი დიდი ინდუსტრიული ცენტრი, აღარ უნდა იქნას ბრძოლის ველი. იგი შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს მშვიდობის, უშფოთველობისა და უშიშროების ზონა.

ომი გარდუვალი არ არის, ომი შეიძლება არ დაეუშვათ. ხალხთა გაერთიანებული ღონისძიებებით მშვიდობა შეიძლება დავიცვათ და განვამტკიცოთ.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. შეხუ
ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჩუბოკვი
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი ი. კადარი
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. გროტევოლი
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. კივუ
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვ. შიროკი

მოსკოვი, 1958 წლის 24 მაისი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც გამოვიდა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მოსკოვის თათბირზე, შეიტანა წინადადება, რომ ამ თათბირმა მხარი დაუჭიროს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შემდგომ ცალმხრივ შემცირებას და მოწოდებით მიმართოს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრ სახელმწიფოებს განახორციელონ ანალოგიური შემცირება.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მეორე ღონისძიებად საბჭოთა მთავრობამ თათბირის განსახილველად შეიტანა ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად რუმინეთის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ჯარების გამოყვანის საკითხი. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ამ ნაბიჯს შეუძლია პრაქტიკული დასაბამი მისცეს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებიდან უცხოეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის საქმეს.

საბჭოთა მთავრობამ შეიტანა აგრეთვე წინადადება, რომ ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილეებმა მიმართონ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალ ქვეყნებს წინადადებით დაიდოს ამ ბლოკის მონაწილე სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოებს შორის თავდაუსხმელობის პაქტი. აზრთა გაზიარება ამ წინადადებიდან გამომდინარე საკითხებზე შეიძლება დაიწყოს დაუყოვნებლივ. ჩვენ აქ იმისათვის როდი შევკრებილ, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ხრუშჩოვმა, რომ შევიმუშაოთ გადაწყვეტილება ახალი ომის წარმოშობის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, იმისათვის, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობა შენდებოდეს მშვიდობიანი თანაარსებობისა და საქმიანი თანამშრომლობის პრინციპებზე.

მომავალი ომი, თუ კი აგრესორები მოახერხებენ მის გაჩაღებას, შეწირავს ნ. ს. ხრუშჩოვმა, იმუქრება გახდეს ყველაზე დამანგრეველი ომი კაცობრიობის ისტორიაში, იმიტომ, რომ არ არის არავითარი გარანტია, რომ იგი არ გახდება ატომური ომი. ამასთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გავლენიანი წრეები, მიუხედავად ძალი „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის აშკარა ჩაფუშვისა, აძლიერებენ საომარ მზადებას, აშკარად ამყარებენ იმედს ომის მომზადებაზე ატომური და რაკეტული იარაღის გამოყენებით.

უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხში დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, კვლავ ებღაუჭებიან „ცივი ომის“ პოლიტიკას. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ასეთი თათბირის რაც შეიძლება მალე მოწვევის ინტერესებისათვის საბჭოთა მთავრობამ მთელ რიგ საკითხებში ანგარიში გაუწია დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილებს, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები, როგორც ჩანს, ახლა ეძებენ ახალ საბაბს, რათა თავი აარიდონ თათბირს მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.

აჭიანურებენ რა მოლაპარაკებას, თქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, დასავლეთის სახელმწიფოები აძლიერებენ თავიანთ საომარ მზადებას და ამ მიზნით უკვე მოაწყეს სხვადასხვა სამხედრო ბლოკის — ნატოს, სეატოს, ბაღდადის პაქტის თათბირების სერია. საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებს სურთ ხალხები დააყენონ მომხდარი ფაქტების წინაშე, გაამწვავონ ატომსფერო, ხელი შეუშალონ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევას ან მარცხი განუმზადონ მას.

საკითხები, რომელთა განხილვასაც ჩვენ მოვითხოვთ მთავრობათა მეთაურების თათბირზე, კარგად არის ცნობილი, ისინი წამოაყენა და მოამზადა თვით ცხოვრებამ. თვითეული ამ წინადადების მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას. ხოლო თუ დასავლეთის წარმომადგენლებს, იმოწმებენ რა თათბირის გულდასმით მომზადების საჭიროებას, მხედველობაში აქვთ აიძულონ საბჭოთა კავშირი დათანხმდეს ისეთი საკითხების განხილვაზე, როგორიც არის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის საკითხი, რომლის მიზანია ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა, ან გერმანიის გაერთიანების საკითხი, როგორც მას დასავლეთის ქვეყნები განმარტავენ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ასეთი „მომზადებას“ ბოლო არ ექნება, იმიტომ რომ არასოდეს და არავითარ პირობებში საბჭოთა კავშირი ასეთ გადაწყვეტილებას არ დეთანხმება და არ მიიღებს.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მოითხოვენ, რომ უმაღლეს დონეზე თათბირმა განიხილოს ისეთი საკითხები, რომლებიც ოდნავაც არ ეხებიან კაპიტალისტური ქვეყნების საყურადღებებს და ამავე დროს ზიანს არ აყენებენ სოციალისტურ ქვეყნებს. ეს არის საფუძველთა საფუძველი, და სწორედ ასეთ მიდგომას მოჰყვება უმაღლეს დონეზე თათბირის წარმატება.

უმაღლეს დონეზე თათბირმა, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებას ევროპაში ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ. თუ დასავლეთის სახელმწიფოებს ეშინიათ, რომ მას შემდეგ, რაც შეიქმნება აღნიშნული ზონა, საბჭოთა კავშირი ამ ზონის ტერიტორიაზე შეინარჩუნებს უპირატესობას ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში, საკითხავია, რატომღა უარყოფენ ისინი საბჭოთა წინადადებებს გერმანიისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების რიცხვის შემცირების შესახებ?

მშვიდობის საქმისათვის, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს გეგმები ამერიკის ხელმძღვანელი წრეებისა, რომლებიც ისწრაფვიან შეიარაღონ დასავლეთი გერმანია ატომური იარაღით. დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები დაადგნენ ატომური ომისათვის მზადების გზას, რომელსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. დასავლეთ გერმანიის ატომურმა შეიარაღებამ, თქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, მჭიდროდ დაახშო ერთადერთი დარჩენილი გზა გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დაახლოებისა და შეთანხმების მეშვეობით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თვით იდეა ატომური და რაკეტული ბაზების შექმნისა, რომლებიც მიმართულია სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, თავიდან ბოლომდე აგრესიული პოლიტიკის გამოვლენებაა. ამხ. ხრუშჩოვმა ყალბი უწოდა ცნობები, თითქოს საბჭოთა კავშირს აქვს ბაზები საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიებზე. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების პოლიტიკა, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ბუნებრივია, აიძულებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს გააკეთონ თავიანთთვის შესაბამისი დასკვნები. მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს არა სურთ, ისინი გარემოებათა გამო იძულებული არიან განახილონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში რაკეტული იარაღის განლაგების საკითხი. გვინდა იმედი გიქონიოთ, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ნატოს ხელმძღვანელები გამოიჩენენ კეთილგონიერებას და არ აიძულებენ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს გადადგან საპასუხო ნაბიჯები რაკეტული იარაღის განლაგების მხრივ.

ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოღვაწეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამერიკის საგარეო პოლიტიკისათვის, იმედოვნებენ, რომ თავიანთი მოკავშირეების მსხვერპლად შეწირვის ფასად აიშორებენ საპასუხო დარტყმას, გადაარჩენენ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას ატომური ომის დამღუპველი შედეგებისაგან ან თუნდაც შეასუსტებენ ამ შედეგებს. არ უნდა დაივიწყონ ზოგიერთებმა, თქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომ ახლა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებს და ომის წარმოების სხვა თანამედროვე საშუალებებს შეუძლიათ მიზანი დაუზიანონ დედამიწის ყოველ წერტილში. მან ხაზგასმით აღნიშნა: „ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა ტექნიკურ შესაძლებლობებს საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირში საკონტინენტთაშორისო რაკეტების შექმნა და დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების გაშვება. ამიტომ ახლა არ უნდა ემყარებოდნენ ძალის პოზიციას, საჭირო არ არის, რომ ერთი მხარე მეორეს აშინებდეს“.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ვერც ერთი სახელმწიფო მოღვაწე ვერ მოიყვანს თუნდაც ერთ ფაქტს, რომელიც მოწმობდეს სსრ კავშირის რაიმე ღონისძიებას, რაც საფრთხეს უქმნის რომელიმე სახელმწიფოს უშიშროებას. და ახლა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ხრუშჩოვმა, როცა საბჭოთა კავშირს აქვს საკონტინენტთაშორისო იარაღი, იგი მზად არის დათანხმდეს ომის მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვაზე, თუ დასავლეთის სახელმწიფოები თვის მხრივ დათანხმდებიან მოახდინონ სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობიანი დროის პირობებში უპრეცედენტო მოქმედება ამერიკის სამხედრო სარდლობისა, რომელიც სისტემატურად გზავნის ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთულ თავის სამხედრო თვითმფრინავებს საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმართულებით, კაცობრიობას ნამდვილად აყენებს ატომური ომის ზღვარზე. არქტიკის რაიონი უახლოესი საჰაერო გზა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამ გარემოების გამო ამ გზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენა ამ რაიონში უეჭველად დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. საბჭოთა კავშირის უშიშროებას საფრთხეს უქმნის ამერიკის თვითმფრინავების ფრენა არა მარტო არქტიკის რაიონში, არამედ აგრეთვე ევროპის, აფრიკისა და აზიის რაიონებში, სადაც შეერთებულ შტატებს საჰაერო ბაზების დიდი ქსელი აქვთ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ აღნიშნული ფრენის წინააღმდეგ საბჭოთა მთავრობის მტკიცე პროტესტის პასუხად არქტიკაში ინსპექციის სისტემა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები გვთავაზობენ, მიზნად ისახავს გარკვეულ სამხედრო - სტრატეგიულ უპირატესობას შეერთებული შტატებისათვის საბჭოთა კავშირის უშიშროების დასუსტების გზით. ცხადია, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ასეთ წინადადებას ვერ დაეთანხმება ვერც ერთი სახელმწიფო, რომელიც თვის თავს პატივს სცემს.

აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის ინიციატივა ატომგულის იარაღის გამოცდის ყველგან შეწყვეტის საკითხში, ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ შექმნილ პირობებში გამოსავალი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა თავიდან აგვეცილებინა ატომური ომის საფრთხე, არის ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების მორალური დაგმობა. ნ. ს. ხრუშჩოვმა ამასთან დაიმოწმა ისტორიული მაგალითი — ჟენევის 1925 წლის ოქმი, რომლითაც აკრძალულია ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენება.

საბჭოთა მთავრობამ ახალი ნაბიჯი გადადგა დასავლეთის ხელმწიფოთა სურვილის დასაკმაყოფილებლად, როცა შეიტანა წინადადება დაიდოს ფართო საერთაშორისო შეთანხმება ომის მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვის საკითხზე. ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ დაეგზავნოთ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების აკრძალვას. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ ისეთი რამის გაკეთება, რომ ატომური ომის წარმოშობის შემთხვევაში ისინი დაცული იქნენ საპასუხო ატომური დარტყმისაგან კოსმოსის სივრციდან და ამავე დროს თავიანთ ხელში შეინარჩუნონ სხვის ტერიტორიებზე მრავალი სამხედრო ბაზა, რომლებიც განკუთვნილია საბჭოთა კავშირსა და მის მეგობარ სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებზე თავდასხმისათვის. საბჭოთა მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ვერ დეთანხმება ისეთ მდგომარეობას, როცა საბჭოთა კავშირისა და მისი მეგობარი სახელმწიფოების უშიშროებას საფრთხე შეექმნება.

ჩვენს დროში, თქვა ამხ. ხრუშჩოვმა, ომი აღარ არის ფატალური გარდუვალობა. გამალებულ შეიარაღებაში კი არ უნდა ვეძებდეთ იმ წინააღმდეგობათა გადაჭრას, რომლებიც თიშავენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოებს, არამედ მათს მოლაპარაკებაში. „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელების მომხრენი ამტკიცებენ, რომ თუ „ცივი ომი“ შეწყდა და საჭირო აღარ იქნა გამალებული შეიარაღება, ეს გამოიწვევს წარმოების შემცირებას, უმუშევართა არმიის ზრდას, მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითებას. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მშვიდობიანი თანაარსებობისა და საქმიანი თანამშრომლობის პოლიტიკის განხორციელება უდიდეს შესაძლებლობას შექმნიდა ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მაგალითად, ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ინდოეთი, სახალხო ჩინეთი, პაკისტანი, ინდონეზია, ირანი, არაბული აღმოსავლეთის ქვეყნები, საბჭოთა კავშირი, შეიძლება გახდნენ დიდძალი ამერიკული საქონლის მოხმარების ბაზარი.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, თქვა დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ჩვენი თათბირი წარმატებით შეასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანას — მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობის განმტკიცებას და ახალი წვლილი იქნებიან იმ საარსებო საერთაშორისო პრობლემების უსწრაფესად გადაჭრის საქმეში, რომლებიც აცობრიობას აღელვებენ.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის მეჰმეტ შეხუს გამოსვლა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე

გამოვიდა რა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე 24 მაისს, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა მეჰმეტ შეხუმ გაიზიარა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შეფასება, რასაც შეიცავდა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა თათბირზე. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, თქვა მეჰმეტ შეხუმ, რომელსაც შეეძლოს მოსწყვიტოს რომელიმე სოციალისტური ქვეყანა ჩვენს ძლევამოსილ და გაერთიანებულ ოჯახს, რადგან ჩვენი ერთიანობა ურღვევია. ეს კი არ არის, რომ ჩვენი პარტიების წარმომადგენელთა თათბირი ეკონომიურ საკითხებზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მოსკოვში, ჩვენი ეკონომიური გეგმების წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება. ალბანეთი, განაცხადა მეჰმეტ შეხუმ, მიესალმება საბჭოთა მთავრობის ახალ ინიციატივას, რომელმაც შესთავაზა იტალიის მთავრობას თავდაუსხმელობის პაქტის დადება.

შეეხო რა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებას, რომ მაღალ დონეზე თათბირმა განიხილოს ეგრეთწოდებული „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საკითხი“, მეჰმეტ შეხუმ თქვა, რომ ალბანელი ხალხი არავის მისცემს ნებას ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში.

ალბანეთის მთავრობა, განაცხადა შემდეგ მეჰმეტ შეხუმ, ახორციელებდა და განახორციელებს ღონისძიებას, რათა თანასწორუფლებიანობის, ჩაურევლობის, პატივისცემისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპების საფუძველზე განავითაროს თავისი ურთიერთობა იუგოსლავიასთან. შემდეგ მეჰმეტ შეხუ შეეხო იტალიასთან, საბერძნეთთან, თურქეთთან ურთიერთობის გაფართოებისა და გაუმჯობესების საკითხებს. ისტორიის მანძილზე გამოჭედილი ტრადიციული მეგობრობა ალბანელ ხალხსა და არაბ ხალხებს შორის, თქვა მან, არის ბაზა ალბანელი და არაბი ხალხების ურთიერთობის განვითარებისათვის.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა მხარი დაუჭირა წინადადებას — დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნებს შორის, აგრეთვე წინადადებას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესახებ.

40 წელი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების სადარაჯოზე

⊙

ი. რუდეშკი,
სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საქართველოს ოლქის სასაზღვრო ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი.

⊙

დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები, შეიარაღებული ძალების მეომრები აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — საბჭოთა სასაზღვრო ჯარების — ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების ფხიზელი გუშაგის ორმოცი წლისთავს.

ორმოცი წლის წინათ, 1918 წლის 28 მაისს, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „სასაზღვრო დაცვის შექმნის შესახებ". სამშობლოს წინაშე საბჭოთა მესაზღვრეების საბრძოლო დამსახურების აღსანიშნავად საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ამ დღეს, 28 მაისს, დაწესებულია სასაზღვრო ჯარების ყოველწლიური დღესასწაული.

დიდი ლენინის ინიციატივით შექმნილი, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი და გამოწრთობილი სასაზღვრო ჯარები ორმოცი წელია ერთგულად ემსახურებიან თავის ხალხს, ფხიზლად და საიმედოდ იცავენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საზღვრებს. თავისი თავდადებული მხედრული შრომით, სიმამაცითა და უანგარო ბრძოლით სამშობლოს მტრების წინააღმდეგ სასაზღვრო ჯარებმა საბჭოთა ადამიანების სიყვარული და მადლობა დაიმსახურეს.

დიდი და სახელოვანი გზა განვლეს სასაზღვრო ჯარებმა ორმოცი წლის განმავლობაში.

სასაზღვრო ჯარების შექმნა და განვითარება განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფოს ბედთან. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებში გამოიწვია შეშფოთება და გაბოროტება, მისწრაფება, რომ რადაც უნდა დასჯდომოდათ ჩაეხშოთ საბჭოების რესპუბლიკა. მათ საბჭოთა ხალხს თავს მოახვიეს სამოქალაქო ომი და დაიწყეს აშკარა სამხედრო ინტერვენცია.

ვ. ი. ლენინმა და კომუნისტურმა პარტიამ დაუყოვნებლივ მიიღეს ღონისძიებანი, რათა გადაჭრით აღეკვეთათ კონტრრევოლუცია და ჯაშუშობა. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნასთან ერთად, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა კონტრრევოლუციურ აჯანყებათა და ჯაშუშთა ბუდეების განადგურებაში, მოეწყო საბჭოთა საზღვრების დაცვა. სასაზღვრო დაცვის მთავარი ამოცანები იყო: ჩვენი ქვეყნის დაცვა საერთაშორისო კაპიტალისტთა აგენტების — ჯაშუშების, ანტისაბჭოთა აჯანყებების ორგანიზატორების შემოღწევისაგან; ეკონომიური კონტრაბანდის ცდების აღკვეთა და საბჭოთა მოქალაქეებისა და მათი ქონების დაცვა სასაზღვრო ზოლის ფარგლებში.

პირველი სასაზღვრო ნაწილების ბირთვი იყვნენ მუშთა კლასისა და უღარიბესი გლეხობის წარმომადგენლნი, კომუნისტები და კომკავშირელები, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილენი. მათ ჯარებში მოიტანეს საბრძოლო რევოლუციური სულისკვეთება და სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები. სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ სასაზღვრო დაცვა გარდაიქმნა სასაზღვრო ჯარებად. სასაზღვრო ჯარების ნაწილები შევიდნენ წითელი არმიის შემადგენლობაში და აქტიური მონაწილეობა მიიღეს უცხოელ ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე მესაზღვრეებმა გამოიჩინეს უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, მაღალი სიმტკიცე, რევოლუციური შეკავშირება, სიფხიზლე და დისციპლინა.

უცხოელ ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა გაერთიანებულ ძალებზე საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის გამარჯვების შედეგად შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგნენ მშვიდობიან მშენებლობას. მაგრამ უცხოელ იმპერიალისტებსა და მათ თეთრგვარდიელ ნაბოლარებს, რომლებიც დამარცხდნენ ომში, არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ისინი აწყობდნენ ანტისაბჭოთა შეთქმულებებსა და კულაკურ აჯანყებებს, გზავნიდნენ სსრ კავშირში თავიანთ აგენტებს, კონტრაბანდის საშუალებით ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისათვის, აწყობდნენ პროვოკაციებს საბჭოთა საზღვრებზე.

ასეთ პირობებში საჭირო იყო სახელმწიფო საზღვრის მტკიცედ და საიმედოდ დაცვა, გზის ჩაკეტვა მტრის აგენტურისათვის, ეკონომიური კონტრაბანდისათვის. აი ეს საპატიო და პასუხსაგები საქმე პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააკისრეს სასაზღვრო ჯარებს.

საბრძოლო შეტაკებებში მტრებთან საზღვარზე, ყოველდღიურ სამსახურში იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ სასაზღვრო ჯარები, ყალიბდებოდა და მრავლდებოდა მათი საბრძოლო ტრადიციები, ძლიერდებოდა მათი სიფხიზლე, იზრდებოდა ოსტატობა. იმპერიალისტურ დაზვერვათა აგენტები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. მაგრამ იმპერიალისტები და მათი დაზვერვები არ წყვეტდნენ ცდას შემოეგზავნათ საბჭოთა კავშირში ჯაშუშები და დივერსანტები.

როცა სამახსოვრო კვირა დილას — 1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერელთა ჯარები აგაზაკურად დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას, სასაზღვრო ჯარები პირველნი ჩაებნენ ბრძოლაში ვერაგი მტრის წინააღმდეგ. უსაზღვრო სიმამაცითა და ვაჟკაცობით იცავდნენ მესაზღვრეები მშობლიურ მიწა-წყალს. ივნისის ბრძოლებში საზღვარზე მათ ყველაზე სასახელო ფურცელი ჩაწერეს ჯარების ისტორიაში. „ლომებსავით იბრძოდნენ საბჭოთა მესაზღვრეები, რომლებმაც პირველებმა მიიღეს საზიზღარი მტრის მოულოდნელი დარტყმა, — წერდა გაზეთი „პრავდა" 1941 წლის 24 ივნისს. — ისინი ხელჩართულნი იბრძოდნენ და მხოლოდ მათ გვამებზე გადავლით შეეძლო მტერს წინ წაწოლა ერთი გოჯით".

19 დღეღამეს იცავდა საზღვარს საგუშაგო, რომელსაც მეთაურობდა ჩვენი ოლქის აღზრდილი ოფიცერი კიმანოვი, ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირი, მესაზღვრეებმა მისი მეთაურობით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების 60 იერიში. შემდეგ მესაზღვრეებმა მიიღეს სარდლობის ბრძანება და ბრძოლით გაარღვიეს მტრის გარემოცვა, 160 კილომეტრი გაიარეს ჭაობში და შეუერთდნენ თავისიანებს.

12 დღეღამეს იბრძოდა ტანკებით და არტილერიით შეიარაღებული მტრების წინააღმდეგ ლეიტენანტ ლოპატინის საგუშაგო. ფაშისტებმა საგუშაგო დაიკავეს მხოლოდ მაშინ, როცა არც ერთი მისი დამცველი არ დარჩა ცოცხალი. ამ გმირობისათვის ლეიტენანტ ალექსი ლოპატინს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სამუდამოდ დარჩება ბრესტის ციხის გმირ დამცველთა ხსოვნა, რომელთა რიგებში იყო ბევრი მესაზღვრე.

საზღვარზე პირველი ბრძოლების სასტიკ განსაცდელში გამობრძმედილი მესაზღვრეთა ნაწილები, შეუერთდნენ რა შემდეგ მოქმედი არმიის ჯარებს, მონაწილეობას იღებდნენ მრავალ ბრძოლაში. მათი ტრადიციული მწვანე ქუდები მოჩანდა ლენინგრადისა და სტალინგრადის დამცველთა რიგებში, ოდესისა და სევასტოპოლის სიმაგრეებზე, კავკასიის მთის კალთებზე და იმიერპოლარეთში — დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე.

ომის პერიოდში ბევრ საბრძოლო ოპერაციაში მტრის გასანადგურებლად მონაწილეობას იღებდნენ მესაზღვრე მეზღვაურები. ბალტიკასა და შავ ზღვაზე, დუნაისა და ვოლგაზე, სადესანტო ოპერაციებში კურილის კუნძულებსა და სამხრეთ სახალინის განთავისუფლებისათვის, წყალში და ხმელეთზე მეზღვაურები ამრავლებდნენ ჩვენი ჯარების დიდებას.

როგორც ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში, ისე იაპონელი მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლებში საბჭოთა მესაზღვრეებმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მამაც და უანარიან მეომრებად გვიჩვენეს თავი.

ხოლო იმათ, ვინც დარჩა საგუშაგოებში და იცავდა ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის საზღვრებს, თავიანთი სიფხიზლით და თავდადებული სამსახურით ღირსეული წვლილი შეიტანეს მტრის განადგურების საქმეში.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მესაზღვრეთა საბრძოლო მოქმედებასა და სამსახურს წარსული ომის წლებში. მამაცობის, გულადობისა და გმირობისათვის, რაც ბრძოლებში გამოიჩინეს, ათასობით მეომარი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 103 მესაზღვრეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სასაზღვრო ჯარების ბევრი ნაწილი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მათ მიენიჭათ საპატიო სახელწოდებანი იმ ქალაქებისა, რომელთა განთავისუფლებაშიც მონაწილეობას იღებდნენ.

* * *

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ მილიონობით საბჭოთა ადამიანი დაუბრუნდა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. მაგრამ მესაზღვრეები კვლავ საბრძოლო პოსტზე — სამშობლოს წინა ხაზზე არიან. ასრულებენ რა კომუნისტური პარტიის მითითებას იმის შესახებ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით გაადიდონ სიფხიზლე სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში, ისინი ფხიზლად დგანან თავიანთ ვახტზე.

საბჭოთა კავშირის მესაზღვრეებმა, მათ შორის საქართველოს ოლქის მეომრებმაც, ომისშემდგომ პერიოდში დაიკავეს მტრის ბევრი ჯაშუში და დივერსანტი. ბევრმა ჩვენმა მებრძოლმა და მეთაურმა ვერაგ და ცბიერ მტერთან შეტაკებაში გაამრავლა ჯარების საბრძოლო დიდება, სამუდამოდ მოიხვეჭა გმირის სახელი.

ოლქის ნაწილებში კარგად ცნობილია ახალგაზრდა ჯარისკაცი — კომკავშირელი, ყუბანის სტანიცის მცხოვრები ივანე ვასიუხნი. ზაფხულის ერთ-ერთ ღამეში ამ უშიშარმა ჯარისკაცმა თავის მეშვეიღესთან ერთად ბრძოლა გაუმართა საზღვრის შეიარაღებულ დამრღვევთა ჯგუფს. მძიმე ჭრილობის მიუხედავად იგი უკანასკნელ ამოსუთქვამდე იბრძოდა, მაგრამ მტრები საქართველოს მიწაზე, რომელიც მისთვისაც მშობლიური გახდა, არ შემოუშვა.

საგუშაგოს, სადაც მსახურობდა გმირი მესაზღვრე ივანე ვასიუხნო, მიენიჭა მისი სახელი.

საზღვრის დაცვისას სიფხიზლე გამოიჩინა აგრეთვე ჩვენი ოლქის ასობით სხვა მეომარმა. მესაზღვრეებმა კირკიტაძემ, მილოვმა და კრეტოვმა გააუქნებლეს თვალსაჩინო უცხოელი ჯაშუში; ეფრეიტორმა პრიანიჩნიკოვმა და რიგითმა ჯარისკაცმა სისოევმა დაიკავეს დამრღვევი, რომელიც ცდილობდა საზღვარზე გადმოსვლას, მოდიოდა რა სპეციალური კოსტიუმით ზღვის ფსკერზე. საზღვრის დამრღვევთა დაკავებისას თავი ისახელეს მესაზღვრეებმა მეყენინმა, გალაქტიონოვმა, კოკეენკოვმა, მინინმა და ბევრმა სხვამ.

საბჭოთა საზღვრები მიუწვდომელი იყო, არის და იქნება ყოველი მტრისათვის იმიტომ, რომ მათ იცავენ არა მარტო მესაზღვრეები, არამედ ყველა საბჭოთა ადამიანი. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, კომუნისტები და კომკავშირელები, ჩვენი შესანიშნავი ბავშვები — პიონერები და მოსწავლეები — აქტიურად ეხმარებიან მესაზღვრეებს ჯაშუშების დაჭერაში.

ასეთ დახმარებას ყოველდღიურად უწევენ მესაზღვრეებს აგრეთვე საქართველოს საზღვისპირა რაიონების მშრომელნი. მარტო ამ ბოლო დროს ოლქის უბანზე სოფლებისა და ქალაქების მშრომელებმა დააკავეს საზღვრის რამდენიმე დამრღვევი, სამში სახელმწიფო დამნაშავეები.

საქართველოს მესაზღვრეებში კარგად ცნობილია კოლმეურნე აგროტექნიკოსი მიხეილ დურსუნის-ძე წულუკიძე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე აქტიურ დახმარებას უწევს მესაზღვრეებს. მტრის ჯაშუშის დაკავებისას გაბედული და მტკიცე მოქმედებისათვის მ. დ. წულუკიძე დაჯილდოებულია მედლით „წარჩინებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში", ხოლო მისი ცოლი — ფასიანი საჩუქრით.

სასაზღვრო ჯარების ორმოცი წლისთავის წინ მედლით „წარჩინებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში" დაჯილდოებული არიან აგრეთვე ამხანაგები ნიკოლოზ იოსების-ძე ბერიძე, გიორგი სანდროს-ძე ღამბაშიძე, ელენე მამედის ასული გურგენიძე, ნიკოლოზ დავითის-ძე კვერნაძე და სხვები.

მესაზღვრეები, თავის მხრივ, დიდ დახმარებას უწევენ საზღვისპირა რაიონების მოსახლეობას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის განხორციელებაში, მონაწილეობას იღებენ საშეურხეო ღონისძიებებში, სოფლებისა და ქალაქების კეთილმოწყობაში. განსაკუთრებით გააქტიურდა ეს მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ.

მეომრების მეგობრობა ადგილობრივ მოსახლეობასთან შემდეგშიც უნდა განვამტკიცოთ და გავაფართოოთ.

სასაზღვრო ჯარების სახელოვან ორმოცი წლისთავს საქართველოს მესაზღვრეები ეგებებიან ახალი წარმატებებით სამსახურში, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში სასაზღვრო საგუშაგოებში და გემებზე აღიზარდა ათობით უნარიანი მეომარი. პატიოსნად ასრულებენ რა თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე და წმიდად იცავენ სამხედრო ფიცს, მათ დაიმსახურეს უფლება ატარონ საპატიო სამკერდე ნიშანი „წარჩინებული მესაზღვრე".

საქართველოს ოლქის სასაზღვრო ჯარების ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები, რომლებიც გამსჭვალული არიან თავიანთი ხალხისადმი, საბჭოთა მთავრობისა და მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებით, ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს, კვლავაც ფხიზლად იქნებიან საბჭოთა საზღვრების საგუშაგოზე, დაიცავენ ხალხის მშვიდობიან შრომასა და ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობას.



ამაო ცდები. ნახატი მ. ოთაროვისა.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის უკეთესი განმტკიცების გზით

უცხოეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის შედეგებს.

ჩინური გაზეთი „ჟენმინჟიბაო" მოწინავე სტატიაში წერს, რომ თათბირმა დიდი წვლილი შეიტანა სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობის, სოლიდარობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

ამ ეკონომიურ თათბირში, აღნიშნავს გაზეთი, სრული გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის დეკლარაციის სულისკვეთებამ.

განვლილი წლების მანძილზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მიერ მიღწეული წარმატებანი ცხადყოფენ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას. ამ საქმეში ყველაზე შესანიშნავი როლი შეასრულა მრავალმხრივმა და უანგარო დახმარებამ, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაუწია მომძმე სოციალისტურ ქვეყნებს.

თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას და მისი ფორმების სრულყოფას, რათა მიღწეულ იქნას წარმოების უფრო ღრმა სპეციალიზაცია და კოოპერირება სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებს შორის. გაზეთი აღნიშნავს, რომ ახლანდელი ეკონომიური თათბირის დიდმნიშვნელოვან შედეგებს, ეჭვი არ არის, მოჰყვება სოციალისტურ ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება.

სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა, რომელიც სწრაფად ვითარდება, აღნიშნავს გაზეთი, კაპიტალისტურ ქვეყნებში განუხრელად მზარდი ეკონომიური კრიზისის მკაფიო კონტრასტს წარმოადგენს. მოსკოვის ეკონომიური თათბირის შედეგები განგვიმტკიცებენ რწმენას, რომ მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალიზმი გაიმარჯვებს კაპიტალიზმზე.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინელ ხალხს მუდამ მიაჩნდა თავის უმაღლეს ინტერნაციონალურ მოვალეობად განამტკიცოს შეკავშირება სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, და მუდამ ახორციელებს დიდ ღონისძიებებს მომძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის.

დასასრულ გაზეთი წერს: მხურვალედ მივესალმებით რა მოსკოვის ეკონომიური თათბირის დიდმნიშვნელოვან წარმატებებს, გამოთქვამთ რწმენას, რომ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება ახალ ძალებს შემატებს ჩინეთს სოციალიზმის მშენებლობაში და განამტკიცებს სოციალისტური ბანაკის ეკონომიურ ძლიერებას.

ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო", კომენტარს უკეთებს რა კომუნიკეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შესახებ და სსრ კავშირისა და ბულგარეთის მთავრობათა დელეგაციებს შორის ამასწინანდელი მოლაპარაკების შედეგებს, რომელიც შეეხებოდა ეკონომიური თანამშრომლობისა და საქონლის ურთიერთმიწოდების საკითხებს, წერს: ეს შესანიშნავი დოკუმენტები ასახავენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ურყევ ერთიანობას მათს განვითარებაში სოციალიზმის გზით, ელბიდან წყნარ ოკეანემდე ხალხთა ინტერესების ერთობას ამ ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერად განვითარებაში, ასახავენ რეალურ შესაძლებლობებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კიდევ უფრო ფართო და უფრო წარმატებითი ეკონომიური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განსახორციელებლად.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში ეკონომიური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განუმეორებელი საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ის არის, რომ ცალკეული სოციალისტური ქვეყნების ინტერესები კეთილნაყოფიერად შეეთანხმოთ სოციალისტური ბანაკის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, საერთო ინტერესებთან.

პოლონეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის შედეგებს.

მოსკოვის შეხვედრამ, წერს გაზეთი „ჟოლნეჟ ვოლნოსტი", განსაზღვრა სოციალისტურ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გზები.

სოციალისტურ ქვეყნებშიმრეწველობის ომისშემდგომმა განვითარებამ, აღნიშნავს გაზეთი „გლოს პრაცი", მოითხოვა მჭიდროდ განმტკიცება სოციალისტური ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობისა, რომელიც გავლენას ახდენს ცალკეულ ქვეყნებში წარმოების განვითარების შემდგომ მიმართულებაზე. ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საჭიროა შრომის უშუალო გეგმიანი განაწილება საერთაშორისო მასშტაბით.

კორეის გაზეთი „მინჯუ ჩოსონი" მოწინავე სტატიაში წერს, რომ მოსკოვის თათბირი ახალი ნიშანსვეტია სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შემდგომ გაფართოებასა და განვითარებაში.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ მოსკოვის თათბირმა ერთხელ კიდევ ცხადყო ურყევი ერთიანობა და შეკავშირება სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა საბჭოთა კავშირის მეთაურობით, გაზეთი წერს: კორეელ ხალხს მიაჩნია, რომ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცება და თანამშრომლობის გაფართოება კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის საიმედო საწინდარია.

27 მაისი. (საკდესი).

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 26 მაისი. (საკდესი). ეროვნული კრების დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე მთავრობის განცხადება კორსიკის ამბების შესახებ გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პფლიმლენმა. ჩამოაყალიბა რა მოკლედ ამ ამბების არსი, მან დეპუტატების ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რა უდიდეს საფრთხეს უქმნის შეთქმულება რესპუბლიკურ რეჟიმს. ამბოხებას კორსიკაში, თქვა მან, არავითარი გამართლება და პატიება არ მოეპოვება. ეს არის რესპუბლიკის კანონების წინასწარმომზადებული და მოფიქრებული ხელყოფა. მთავრობამ უკვე მიიღო სანქციები ამ ამბოხების გამომწვევთა მიმართ, კერძოდ, ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ხაზით. რაც შეეხება დეპუტატ არიგის, რომელმაც აკისრა კორსიკის აჯანყების ხელმძღვანელობა, მთავრობამ დღეს ეროვნულ კრებაში შეიტანა კანონპროექტი, რომ საპარლამენტო ხელშეუხებლობა ჩამოერთვას ყოველ დეპუტატს, რომელიც თავისი მოქმედებით შეეცდება ეროვნული ტერიტორიის ნაწილი გამოაცალოს რესპუბლიკური მთავრობის ხელისუფლებას.

თუ ვინმეს ეეჭვებოდა ანტირესპუბლიკური შეთქმულების არსებობა, განაგრძო პფლიმლენმა, კორსიკის ამბებმა საესებით გაფანტეს ეს ეჭვი. კორსიკის ამბოხების ანალოგიური გამოსვლები შეიძლება საფრანგეთის ზოგიერთ სხვა დეპარტამენტშიც მოხდეს. ამ გამოსვლების თავიდან ასაცილებლად მთავრობამ უკვე განახორციელა ზოგიერთი ღონისძიებანი.

დასასრულ პფლიმლენმა აღნიშნა საომოქალაქო ომის საფრთხე საფრანგეთში და მოუწოდა მთელ ერს დაიცვას რესპუბლიკა.

შემდეგ გამოვიდა სოციალისტი დეიქსონი, რომელმაც სცადა აღენიშნა, რომ ალჟირის ანტირესპუბლიკური შეთქმულება განსხვავდება კორსიკის ამბოხებისაგან. იგი ცდილობდა „შემამსუბუქებელი გარემოებანი" ეპოვნა ალჟირელ შეთქმულთათვის.

დეიქსონს გამოსვლა ადგილიდან შეაწყვეტინა „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის" პარტიის ლიდერმა ფრანსუა მიტერანმა, რომელმაც ეროვნული კრების მთელი მემარცხენე ფრთის ტაშის გრიალში განაცხადა, რომ კორსიკის ამბოხება ალჟირის ანტირესპუბლიკური შეთქმულების პირდაპირი შედეგია.

ინდონეზიის მთავრობის ჯარების წარმატებანი ჩრდილოეთ სულავესზე

ჯაკარტა, 26 მაისი. (საკდესი). ანტარას სააგენტო, იმოწმებს რა ინდონეზიის არმიის შტაბის ინფორმაციის სამსახურის უფროს ხარსონოს ცნობას, იუწყება, რომ მთავრობის ჯარებმა ახალი წარმატებანი მოიპოვეს სულავესის ჩრდილოეთი ნაწილის მეამბოხეთაგან განთავისუფლების საქმეში. 24 მაისს მოროტაის კუნძულზე მეამბოხეთა ორი რაზმი იარაღიანად დანებდა მთავრობის ჯარებს. 21 მაისს მთავრობის ჯარებმა დაიკავეს სანგიხეს და ტალაუდის კუნძულების მთელი ჯგუფი სულავესის ჩრდილოეთით. მთელმა მეამბოხეთა ჯარებმა, რომლებიც კუნძულებზე იყო, უსიტყვოდ მოახდინეს კაპიტულაცია. მთავრობის ჯარებმა, ნათქვამია ცნობაში, ეს წარმატებანი მოიპოვეს მოსახლეობის დახმარების მეოხებით. ოპერაციები მეამბოხეთა წინააღმდეგ სულავესის ცენტრალურ ნაწილში ხორციელდება დასახული გეგმის მიხედვით. მეამბოხენი, ნათქვამია ცნობაში, კონტროლს უწევენ მხოლოდ ტერიტორიას, რომელიც ესაზღვრება მათ ცენტრს — მანადოს.

სოხუმი. ლენინის ჭიჩა. ფოტო ხ. კოროტკოვისა.

მწერალთა კავშირის კლუბში

ხუთშაბათს, 29 მაისს, საღამოს 8 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში მთარგმნელთა სექცია და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტი მართავენ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის" ფრანგული თარგმანის განხილვას.

მოხსენებას თემაზე: „კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის" ო. დომეკის მიერ შესრულებული თარგმანი" გააკეთებს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ლექტორი გ. გეგელია.

ნაწყვეტებს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის" და „ხოგაის მინდიას" ფრანგული თარგმანებიდან წაიკითხავენ უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტის სტუდენტები.



გაგრა. სანატორიუმ პარკის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სპორტის ამბები

დამთავრდა „ბურევესტნიკის" სპარტაკიადა

თბილისში დამთავრდა საქართველოს სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის" სპარტაკიადა. შეჯიბრება სპორტის 13 სახეობით განისაზღვრებოდა. მასში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის 17 უმაღლესი სასწავლებლის 2.000-მდე სპორტსმენმა.

განვლილ შეხვედრებში მთელი რიგი მაჩვენებლები მაღალია. სპორტსმენებმა კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნეს.

პირველ ჯგუფში ყველაზე ძლიერი იყვნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები, რომლებმაც 13 სახეობიდან 10 პირველი ადგილი დაიკავეს და გაიმარჯვეს. მეორე ადგილზე გამოვიდა კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, მესამეზე — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენთა კოლექტივი.

მეორე ჯგუფში შეჯიბრება კარგი შედეგებით დაამთავრეს თბილისისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტსმენებმა. მესამე ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდმა.

რიგის კორტებზე

25 მაისს რიგის კორტებზე დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ასპარეზობა ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზის მოსაპოვებლად.

საინტერესოდ წარიმართა დასკვნითი შეხვედრები ქალთა შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფილიპოვა და კუზმენკო. კიეველმა სპორტსმენმა კუზმენკომ კარგი ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. ვაჟთა შორის ფინალური ბრძოლა მოიგო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ანდრეევმა.

გამარჯვებულ სპორტსმენებს ჯილდოები გადაეცათ.

„კომუნისტის" მოკრიბი ნომერი გამოვა 30 მაისს.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა, **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — წიწამური, **გრიბოედოვის სახელობის** — სამსახურიდან გადამდგარი, **სომხური დრამის** — გლახის ნაამბობი, **მუსიკალური კომედიის** — ნაბიჭვარი (8 ს. 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — რობინ ჰუდი (4 ს., აბ. № 47), **ბაში-აჩუკი** (7 ს., აბ. №12), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კოქლი მეწისქვილე (10 ს., აბ. №15,), **ცხოვრების ფურცელი** (4 ს., აბ. №17), **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — ახალი საესტრადო. მუსიკალური მიმოხილვა — ხომ არ გეცნობათ?! (9 ს.).

ტელეგადაცემათა პროგრამა 28 მაისისათვის

19.30 — საუბარი სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით, 19.40 — კინოჟურნალი „ბრიუსელის გამოფენის გახსნაზე", 19.50 — თვითმოქმედების კონცერტი, 20.10 — კინოჟურნალი, 20.20 — მხატვრული ფილმი „მეორე ცოლი".

თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი
აცხადებს კონკურსს შემდეგ საშტატო თანამდებობებზე:

1. II ქირურგიის კათედრის დოცენტი — 1,0 განაკვ.
2. თვალის სნეულებათა კათედრაზე დოცენტი — 1,0 და ასისტენტი — 1,0
3. ინფექციურ სნეულებათა კათედრის ასისტენტი — 0,5
4. ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის ასისტენტი — 0,5
5. ტუბერკულოზის კათედრის ასისტენტი — 1,0
6. ეპიდემიოლოგიის კათედრის ასისტენტი — 0,5
7. პედიატრიის კათედრის ასისტენტი — 0,5
8. რენტგენოლოგიის კათედრის ასისტენტი — 1,0
9. I ქირურგიის კათედრის ასისტენტი — 0,5
10. სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის ასისტენტი — 1,0
11. ნეიროქირურგიის კათედრის ასისტენტი — 1,0
12